პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 120 (9531)
21 ივნისი, კვირა, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

დღეს ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეა! ყველანი არჩევნებზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ



საქართველოსა და უკრაინის ნაკრები გუნდების გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

მაჩვილგონივრულად თამაშობენ...

საქართველო — უკრაინა 7:6 (2:1, 1:3, 3:1, 1:1)

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდი სხვებზე ახალგაზრდულია. ჩვენი რამდენიმე ჭაბუკი მეტოქეებზე ერთი წლით უმცროსია, მაგრამ ეს მოედანზე არ იგრძნობა, ისინი არაფერში ჩამოუვარდებიან მათზე უფროსებს. ორმა სასტარტო შეხვედრამ გვიჩვენა, რომ საერთოდ, საქართველოს ნაკრების წევრებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სწრაფ და ზუსტ გადაცემებს, მეტოქის კართან ისინი ყოველთვის როდი ახერხებენ თამაშის უკეთ გაგრძელებას, რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას, შორიდან დარტყმებიც არაა ძლიერი. მაგრამ ეს ყველაფერი მოვა, მთავარია, ნაკრებმა შემართებით, სტაბილურად ითამაშოს.

უკრაინის განათლების სამინისტროს გუნდთან მეორე ტურის შეხვედრაში ჩვენს გუნდს სწორედ სტაბილურობა აკლდა. მაგალითად, პირველი პერიოდი მოვიგეთ 2:1, მაგრამ მომდევნო პერიოდი წავაგეთ 1:3. მესამე პერიოდში ასეთივე ანგარიშით მივაღწიეთ უპირატესობას, ბოლო პერიოდი კი, ფრედ 1:1 დამთავრდა.

ანგარიში თამაშის მეორე წუთზე გაიხსნა. შეტევა კარგად დააგვირგვინა დ. ბურდულმა. ორი

იხ. მე-2 გვ.

შემადგენლობები

საქართველოს ნაკრები: გ. გზირიშვილი (მესამე პერიოდიდან იგი მეორე მეკარემ გ. პოსოხოვმა შეცვალა), გ. გონაძე, ო. პატარიძე, გ. მახარაძე, ი. ტატიშვილი, გ. ბეჟანიშვილი, დ. ბურდული, ზ. დავითიანი, გ. გრიგოლია, ბ. ცხომელიძე, ს. გოგიჩევი.

უკრაინის განათლების სამინისტროს ნაკრები: დ. ბორეცკი, კ. გრინკო, ა. ჟუკოვი, გ. კოტოვი, ი. მუზიკანტი, ა. იაკუშინი, ნ. კოზლოვი, ს. ბეჟანოვი.

მსაჯები: ვ. გალიჩნიკოვი (ბაქო), ა. კოსტინიანი (ერევანი), ორივე — რესპუბლიკური კატეგორია.

ნინო სალუქვაძეს — მეოთხე ოქროს მედალი!

19 წლის თბილისელი გოგონას ნინო სალუქვაძის გამოსვლამ ტყვიის მსროლელთა პირად-გუნდურ საკავშირო ჩემპიონატში მართლაც ყველა გააოცა. მისი მტკიცე ხასიათი და სტაბილური შედეგები ბევრ გამოცდილ და სახელოვან სპორტსმენს შეშურდება. „ნინო სალუქვაძე სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონია“ — გაუწყეთ 18 ივნისს და აი, დღეს ნინოს კიდევ ერთი გამარჯვება უნდა გახაროთ: ნინო სალუქვაძემ საკავშირო ჩემპიონატში მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა!

კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 17 ივნისი. „წყლის პირას, უწყლოდ“ — ასეთი სათაურით გვთავაზობს გაზეთი საკუთარი კორესპონდენტების მასალებს ლიტვასა და ბელორუსიაში აუზებისა და ღია წყალსაცავების მდგომარეობის შესახებ.

„სოვეტსკი სპორტი“ — 17 ივნისი. „იცოცხლო უფრო დიდხანს და უფრო მეტი გააკეთო“. კორესპონდენტ სერგეი ვიშნიაკოვის შეკითხვებს პასუხობს ცნობილი საერთაშორისო მიმომხილველი ვლადიმერ ცვეტოვი.

20 ივნისი. „ვინ შეაჩერებს მათ?“ ა. მიხაილოვი და ბ. ტოსუნიანი კვლავ „XX საუკუნის ვანდალებზე“, ფეხბურთის ინგლისელ გულშემატკივრებზე მოგვითხრობენ.

20 ივნისი. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებზეა საუბარი გ. დაშკევიჩისა და ე. ერმიშკინას წერილში „დიდი ჩოგბურთის სამყაროში“.

საკავშირო ტურნირი რუსთავში

რუსთავში გაიმართა ჭაბუკ „კლასიკოსთა“ საკავშირო ტურნირი. საქართველოს მოჭიდავეებთან ერთად სარბიელზე გამოვიდნენ მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ნ. პატაშვილმა (თბილისი), ო. თავართქილაძემ (აჭარა), დ. მუმლაძემ (ბორჯომი), ზ. ედიშერიძემ (ზესტაფონი), ზ. ლაფერაშვილმა (საგარეჯო), გ. ჭინჭოლაშვილმა (ქუთაისი), ჯ. ბულატიმ (უზბეკეთი), მ. ღუღუნიშვილმა (თბილისი), ვ. თათრულაიძემ (ქვემო ალვანი), თ. ზარანდიამ (აფხაზეთი), ა. ვაზაგაშვილმა (თბილისი) და ვ. ანთიძემ (მახარაძე).

წითელი ბარათი — ბიუროკრატიზმს!

და მაინც, რატომ არ შეიძლება?

გახსოვთ ალბათ, ჩვენი გაზეთის 20 მაისის ნომერში რუბრიკით „გთავაზობთ წინადადებას“ გამოვაქვეყნეთ წერილი „საცურაო აუზი—კოოპერატორებს“. რედაქციამ უმალვე მიიღო რამდენიმე გამოხმაურება კოოპერატივის შექმნის მსურველებისგან. პუბლიკაციას მხარი დაუჭირა და კონტროლზე აიყვანა საქართველოს სპორტსახკომმა, რომლის შესაბამისმა სამსახურებმა კონკრეტული დავალებები მიიღეს. თაოსნობას მხარი დაუჭირა აგრეთვე განათლების სამინისტრომაც. ცხადია, არც რედაქციას დაუმთავრებია თავისი საქმე საკითხის გაზეთის ფურცლებზე გამოტანით. პირიქით, ჩვენ ვეწვიეთ თბილისის განათლების განყოფილებას, იქვე ექსპერიმენტისათვის შევარჩიეთ ორი სკოლა — ერთი ლენინის რაიონში (164-ე), მეორე — პირველი მაისის რაიონში (169-ე). საქმე თითქოს დაიძრა, მაგრამ პრაქტიკულად მაინც არაფერი გაკეთებულა. ვიდრე ბიუროკრატიული აპარატის მუხრუჭების ძალას შევეხებით, გაგაცნობთ კოოპერატორთა მუშაობის პირობას: სასკოლო აუზი დილის 9-დან 15 საათამდე, ე. ი. სასწავლო დღის განმავლობაში უსასყიდლოდ ეთმობა თვით სკოლას პროგრამით გათვალისწინებული ცურვის გაკვეთილების ჩასატარებლად. დილის 7-დან 9-მდე და შემდეგ 15-დან 23 საათამდე აუზი იმუშავებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე, კოოპერატორები გაყიდიან აბონემენტებს მხოლოდ მოზარდებზე, პირველ ყოვლისა, იმავე სკოლის მოსწავლეებსა და მიკრორაიონში მცხოვრებ სხვა ბავშვებზე. ერთი სიტყვით, აუზი მხოლოდ ბავშვებს მოემსახურება.

მოვუსმინოთ პირველი მაისის რაიალმასკომის პასუხისმგებელ მუშაკს სოფიო პუდოვას: „როგორ შეიძლება სკოლაში უცხო პირების შეშვება. აუზი და სკოლა ერთ ჭერქვეშაა; გარდა ამისა, ეს აუზი პატარაა, სასკოლო. ან რა საჭიროა იქ კოოპერატორების შეშვება, როცა ჩვენ ამ აუზზე უკვე გავხსენით სპეციალური ანგარიში და აბონემენტებიც იყიდება“. ამ პოზიციას მხარს უჭერენ სკოლის ხელმძღვანელობა და რაიონის განათლების განყოფილების საფინანსო სამსახური (რუსუდან კვიტაშვილი). იძულებული ვართ შევახსენოთ მათ და სხვებსაც: დიდი ხანია არსებობს საგანგებო დადგენილება და ნებართვა იმის თაობაზე, რომ სასკოლო ბაზებით, როცა ეს ბაზები თავისუფალია, მოსახლეობამ უნდა ისარგებლოს. და სწორედ აქ, პრობლემების გადასაჭრელად, თავიანთ სამსახურს გვთავაზობენ კოოპერატორები. რა არის ამაში გაუგებარი და უცნაური? ვიცით ისიც, რომ ყველა სასკოლო აუზი საბავშვოა, პატარაა, ამიტომ კოოპერატორებიც ამ აუზებს ხომ მხოლოდ ბავშვებისთვის გამოიყენებენ. ქალბატონმა სოფიომ, გახსოვთ, ისიც განაცხადა, აბონემენტებს ვყიდითო. შევამოწმეთ, მაგრამ მისი ნათქვამი არ დადასტურდა. თურმე სექტემბრიდან აპირებენ აბონემენტების გაყიდვას. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ეს განცხადებაც კოოპერატორთა მოსაგერიებელი სვლაა, თორემ აქამდე რა უშლიდათ ხელს, აქამდე რატომ არ ყიდდნენ აბონემენტებს?

რედაქცია სასკოლო აუზების კოოპერატორებისთვის გადაცემის წინადადებას, რომელმაც მხარდაჭერა ჰპოვა, ასე ადვილად ვერ შეელევა. განზრახული გვაქვს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. მაგრამ თუ ვინმეს სხვა მოსაზრება აქვს, ლოგიკურ არგუმენტებით დაგვიმტკიცონ, რომ ვცდებით.

მკითხველს შევახსენებთ: რესპუბლიკაში 30 სასკოლო საცურაო აუზიდან საერთოდ არ ამოქმედებულა 18, აქედან თბილისში 18-დან — 8. სისტემატურად და გამართულად კი არც ის 8 აუზი მუშაობს.

რა ვქნათ? იქნებ სჯობს ისინი, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ევალება, კოოპერატორების მოგერიების გზების ძიების ნაცვლად, მათი ხელშეწყობისთვის გაისარჯონ?

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

მახვილგონივრულად თამაშობენ...

დასასრული

წუთის შემდეგ მეტოქემ საპასუხო ბურთი გაიტანა (ა. იაკუნინი), რამდენიმე წამში კი ო. პატარიძემ დაწინაურება თავისიანები.

საქართველოს ნაკრებს, როგორც ვთქვით, მეორე პერიოდში არ გამოუვიდა თამაში, მეტოქემ რამდენიმე სწრაფი იერიშით მოახერხა დაწინაურებაც და პერიოდის მოგებაც. სამ ბურთს ჩვენებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ზ. დავითიანი). ბოლო ორ პერიოდში საქართველოს ნაკრებიდან ბურთები გაიტანეს გ. გონაძემ, დავითიანმა, ი. ტატიშვილმა და ისევ დავითიანმა. საბოლოოდ 7:5. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრები ქვეჯგუფში ლიდერი გახდა (3 ქულა). მესამე შეხვედრას მასპინძლები დღეს გამართავენ. მათი მეტოქე იქნება დასავლეთი ზონის (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო) ნაკრები გუნდი.

მატჩის შემდეგ



ვლადიმერ კრიუკოვი

ექსპრესკომენტარი. ვლადიმერ კრიუკოვი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სსრ კავშირის პროფკავშირული ნაკრები გუნდების წარმომადგენელი:

ქართველ და უკრაინელ წყალბურთელთა შეხვედრაში, ვფიქრობ, ძალები თანაბარი იყო. თუმცა, სათამაშო სიტუაციებში თქვენი გუნდის მახვილგონივრულობა უფრო გამოკვეთილი ჩანდა, მათ მიზანსწრაფვაც მეტი გამოავლინეს. ძალიან მომეწონა დავითიანი. მის გამოჩენას მეტოქის კარის მისადგომებთან ყოველთვის არევდარევა შეჰქონდა დაცვაში, დავითიანს სულ მცირე ორი მცველი დარაჯობდა. რაც მთავარია, ეს ჰაბუკი თამაშის შესანიშნავი ორგანიზატორია, თამამად ახრულებს დისპეჩერის ფუნქციას.

სხვა შეხვედრები

დასავლეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) — **„დინამო“** (სსრ კავშირის ნაკრები) 3:11 (0:2, 1:2, 1:4, 1:3);

მსაჯები: ვ. ნაჯაფოვი (ბაქო, რესპუბლიკური კატეგორია), ბ. ერიომინი (ლენინგრადი, საკავშირო კატეგორია).

„შრომითი რეზერვები“ (სსრ კავშირის ნაკრები) — რსფსრ (განათლების სამინისტრო) — 3:10 (1:4, 1:2, 0:1, 1:3).

მსაჯები: ი. კიკალეიშვილი (თბილისი), ს. კოროლიოვი (ალმა-ათა), ორივე — რესპუბლიკური კატეგორია.

სამხრეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო) — **საბჭოთა არმია** (სსრ კავშირის ნაკრები) — 12:11 (4:2, 4:2, 2:5, 2:2).

მსაჯები: ვ. ხრომოვი (ხარკოვი, საკავშირო კატეგორია), ვ. პოლოსკოვი (მოგილიოვი, რესპუბლიკური კატეგორია).

21 ივნისი, დღე მესამე

შეხვედრების გრაფიკი:

16 ს. საბჭოთა არმია (სსრ კავშირის ნაკრები)—პროფკავშირები-1 (სსრ კავშირის ნაკრები);

17 ს. რსფსრ (განათლების სამინისტროს ნაკრები — სამხრეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები);

18 ს. „დინამო“ (სსრ კავშირის ნაკრები) — პროფკავშირები-2 (სსრ კავშირის ნაკრები);

19 ს. საქართველო (ნაკრები) — დასავლეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები).

20 ივნისი. „დინამოსა“ და დასავლეთი ზონის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„ლელოს“ კონტროლზეა

დახმარების ძალა

„ლოკომოტივის“ საცურაო აუზი

თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზში, სადაც კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს, ამ ერთი თვის მანძილზე ბევრი რამ გაკეთებულა. გაუფართოვებიათ ადმინისტრაციული კორპუსი, ამონტაჟებენ ტრიბუნების მოსაწყობად საჭირო რკინის კონსტრუქციებს, დაუწყიათ აუზისკენ მიმავალი დერეფნის პორტალის მოზაიკური გაფორმება, 50-მეტრიან აუზში კაფელით მოჰირკეთების ხახევარზე მეტი სამუშაო შესრულებულია...

როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს მოადგილემ ველან ბერძენიშვილმა გვითხრა, კაპიტალური რემონტი შეუფერხებლად მიმდინარეობს, ზოგიერთი სამუშაო ვადაზე ადრეც სრულდება. კვლავაც ასე გაგრძელდება, თუ მუშა-ხელი არ მოაკლდებათ და სამშენებლო მასალის მიწოდებაც არ შეფერხდება.

აპრილში ჩვენ ვიუწყებოდით, რომ ზამდგომი ორგანოების ჩარევის გარეშე მშენებლები დროზე ვერ მიიღებდნენ კაფელსა და წებოს, ვინაიდან ამ მასალის ფონდები ამოიწურა. ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ ზოგი რამ თითქოს მოგვარდა, მაგრამ... პრობლემა მაინც ბოლომდე არ გადაუჭრიათ.

მართალია, „ლოკომოტივის“ აუზში კაპიტალური რემონტის ჩატარება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ევალება და ეს ორგანიზაცია ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ სამუშაოები დროულად დამთავროს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სხვა დაწესებულებების დახმარება რ სჭირდება. ამ აუზით მარტო რკინიგზელები და მათი შვილები ხომ არ სარგებლობენ. რემონტის დამთავრებას მოუთმენლად ელის მოსახლეობა, გამაჯანსაღებელ ჯგუფებში ჩარიცხვის მსურველები, რესპუბლიკის მოცურავეთა, წყალბურთველთა თუ წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდების წევრები და ა. შ. ამიტომ მშენებლებს შეძლებისდაგვარად ყველამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს. მათთვის კაფელის გამოყოფა, როგორც ჩანს, მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის დახმარების გარეშე ვერ გადაწყდება. იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ კომიტეტის დახმარებით მშენებლები დროულად მიიღებენ 2000 კვადრატულ მეტრ კაფელს.

ყოველივე ამის შესახებ საუბარი იყო მშენებელთა შტაბის მორიგ სხდომაზე, რომელსაც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. მათი დახმარებით ეს პრობლემა იმავე დღეს ნაწილობრივ გადაწყდა. იმავე დღეს მათივე დახმარებით მოგვარდა ჰიეჭავის ქვით მშენებელთა მომარაგების საკითხიც.

ზეიმი სკოლაში

გორის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსურ სპორტულ სკოლაში სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით გაიმართა სპორტული ზეიმი, რომელსაც ბევრი სტუმარი ჰყავდა.

—სპორტულ სკოლაში არაერთი კარგი საქმის გაკეთება შეძელითა, მაგრამ ყველაფერს თავი ვერ გავართვით, უფრო იმიტომ, რომ სრულფასოვანი ბაზა არ გვაქვს. ამას ემატება მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაცია, — გვითხრა სკოლის დირექტორმა მ. ჯავახიშვილმა. — ერთგვარი წარმატებები გვაქვს მძლეოსნობაში და მაგიდის ჩოგბურთში. გამოჩნდნენ პერსპექტიული სპორტსმენები მაია ქერდიყოშვილი და რეზო თაბუკაშვილი. ახლახან ისინი მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებში მიიწვიეს.

სკოლის დირექტორმა სინანული გამოთქვა იმის თაობაზე, რომ განათლების განყოფილება სკოლას საჭირო რაოდენობის სპორტული ინვენტარით ვერ ამარაგებს, აკლიათ სატანვარჯიშო იარაღები, ბავშვებს ჯერ თვალითაც არ უნახავთ სამბოს ჩოხები...

ზეიმის დასასრულს საჩვენებელი გამოსვლები გაიმართა ჭიდაობაში, კალათბურთში, ჭრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში და ჭადრაკში. სკოლის დირექტორმა ჯილდოები გადასცა მოწინავე მწვრთნელებს და სპორტსმენებს.

ილია თევდორაშვილი.

„ლელოს“ კორ.

გორი.

SOS

ფრთხილად, ბავშვებია!

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. არ უნდა მომხდარიყო იმიტომ, რომ ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მთელი ჩვენი საზოგადოებრიობაა მობილიზებული: ცალკეული სამსახურები პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებენ, კონკრეტულ პიროვნებებს კი მკაცრი პასუხი მოეთხოვებათ წესით და კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის.

ყველამ კარგად ვიცით, ზაფხულის პერიოდში პროდუქტებით მოწამვლის რა დიდი საფრთხე იქმნება. განსაკუთრებული საფრთხილის გამოჩენა, ცხადია, იქ გვმართებს, სადაც ბავშვები ისვენებენ და იკვებებიან.

წელს, როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებს მასპინძლობს. საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა ნაკრები გუნდები ამ ასპარეზობებისწინა შეკრებებზე რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში იმყოფებიან. მაგალითად, ტყვიის მსროლელებს ეშერაში აქვთ შეკრება.

ნორჩ სპორტსმენებს უფროსებმა წვრთნა-დასვენებისთვის ყველა პირობა შეუქმნეს, მხოლოდ კვების საკითხს მოეკიდნენ უგულოდ. უპასუხისმგებლობას სავალალო შედეგი მოჰყვა. უხარისხო კვების პროდუქტებით რვა სპორტსმენი მოიწამლა. სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად მოზარდების ჯანმრთელობას ახლა საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ ფაქტი აღმაშფოთებელია. მომხდარით შეშინებულებმა უკვე მიიღეს გადამჭრელი ზომები კვების პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად და მსგავს შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად, მაგრამ საჭირო იყო საქმეს თავიდანვე გულისყურით მოკიდებოდნენ მასპინძლები და პირველ ყოვლისა სასადილოს გამგე შ. კუხალეიშვილი.

ეშერაში მომხდარი ფაქტი გამაფრთხილებელი სიგნალია ყველასთვის.

21 ივნისი მედიცინის მუშაკის დღეა!

საქიმო ფიზკულტურა-ხალხის სამსახურში

მედიცინის მუშაკთა ტრადიციული დღესასწაული ამჯერად განსაკუთრებულ ვითარებაში ტარდება. მთელი ჩვენი ხალხი ერთსულოვნადაა დარაზმული პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, ისახება ღონისძიებები სამედიცინო სამსახურის ძირფესვიანი გარდაქმნისათვის, რაშიც გარკვეული წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის საექიმო ფიზკულტურის სამსახურს. ამ სამსახურის ძირითად რგოლს საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი წარმოადგენს. მისი დანიშნულებაა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმული მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფა.

საბჭოთა კავშირში ამჟამად 500-მდე ასეთი დისპანსერი მუშაობს და, თამამად შეიძლება ითქვას, საბჭოთა სპორტის დღევანდელი მიღწევები გარკვეულწილად სწორედ ამ სამსახურმა განაპირობა.

საქართველოში მუშაობს ათი საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი, სამი სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრა. თითქმის ყველა სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებაში არის სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი, ბევრ დაწესებულებაში — სარეაბილიტაციო განყოფილებები და კაბინეტები.

1986 წლის მონაცემებით, რესპუბლიკის დისპანსერებში საფუძვლიანი საექიმო შემოწმება ჩაუტარდათ 286467 სპორტსმენს. ჯანმრთელი კონტინგენტიდან დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანილია 192331, ხოლო სხვადასხვა სახის მკურნალობა ჩაუტარდა 9062 სპორტსმენს; სამედიცინო მომსახურება გაეწიათ 3951 შეჯიბრებისა და 3519 საწვრთნელ-სასწავლო შეკრების მონაწილეებს.

თბილისში ოთხი დისპანსერია, სულ რესპუბლიკაში საექიმო ფიზკულტურის განხრით მუშაობს 354 ექიმი, 312 მედდა, მრავალი სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორი და მასაჟისტი.

ამჟამად სპორტული მედიცინის სამსახურის მიზანია რესპუბლიკის სპორტული სკოლების ნაკრები გუნდების წევრთა მედიკობიოლოგიური უზრუნველყოფა. სპორტსმენების მომზადება მაღალი შედეგებისათვის ექიმის ყოველდღიური მეთვალყურეობის გარეშე წარმოუდგენელია.

თანამედროვე სპორტის სათანადო მედიკობიოლოგიური უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობაა სპორტული მედიცინის სამსახურს ჰქონდეს შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — სამედიცინო და სპორტული აღჭურვილობით, ფუნქციური დიაგნოსტიკის, ფიზიოთერაპიული, სარეაბილიტაციო განყოფილებებითა და კაბინეტებით, კლინიკოდიაგნოსტიკური ლაბორატორიითა და, რაღა თქმა უნდა, კვალიფიცირებული ექიმებით. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით ჩვენი რესპუბლიკა ვერ დაიტრაბახებს საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით. ჯერ კიდევ ნაკლებად გვყავს მედიცინის სპეციალისტები, რომლებიც ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ ნაკრები გუნდების სპორტსმენებთან.

ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ჩვენს რესპუბლიკაშიც სათანადო ყურადღება დაეთმოს საექიმო ფიზკულტურის სამსახურს, მისთვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტების საქმეს.

ოთარ ვიჩუგოვი,
თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის დარგში; დოცენტი.

პიონერ-რაზმეულთა ასპარეზობა

პინსკში დამთავრდა „თეთრი ეტლის“ საკავშირო გათამაშება პიონერ-რაზმეულთა გუნდებს შორის. ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (სოფიკო ნიკოლაძე, შოთა კუპუხიძე, ალექსანდრე ყაყაშვილი, კახა ყორჟოლიანი, თეა ლანჩავა) 16 ქულით II ადგილი დაიკავეს. მათ მხოლოდ ნახევარი ქულით გაუსწრეს ლიტველმა თანატოლებმა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: III. მოსკოვი — 13,5, IV. მინსკი — 12, V. ლენინგრადი — 9, VI. ნიჟნი ტაგილი — 7,5.

საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში ● II წრე

ბოლო ტურის წინ

თბილისი. ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი.

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 8:7 (3:3, 1:1, 3:2, 1:1).

„დინამო“ — გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, კოლუაშვილი, კანდელაკი, რამიშვილი; გიორგაძე, ნიკოლაიშვილი, მაჭავარიანი.

„ლოკომოტივი“: ნოვოხადკო, შევცოვი, გარბატოვსკი, სოსნოვსკი, ბეზვერხინი, ფატიანოვი, ბეზვერხინი; პლაკსი, ზარაპინი, ვოლკოვი, კოლტაჩიხინი, დროკინი.

ამ გუნდების შეხვედრა პირველ წრეშიც ასეთი ანგარიშით დამთავრდა, მაგრამ, თუ მაშინ თბილისელთა გამარჯვება თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა, ახლა მატჩის ბედი საფინალო სასტვენამდე არ გადაწყვეტილა.

„ლოკომოტივი“ უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ერთ-ერთი სუსტი კოლექტივია, ამიტომ მასთან შეხვედრაში თითქმის ყველა წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას, მაგრამ გამოცდილები სუსტ გუნდთან ზედმეტად თავდაჯერებული არ ასპარეზობენ, რადგან იციან, რომ თუ ყურადღება ოდნავ მოადუნე, აუტსაიდერიც ბრჭყალებს გამოაჩენს.

დიახ, თბილისელებმა ამჯერად მეტოქის ძალა ობიექტურად ვერ შეაფასეს. მათ დაავიწყდათ, რომ „ლოკომოტივს“ ჯვით „უნივერსიტეტმაც“ კი მინიმალური უპირატესობით მოუგო.

შეხვედრა ხარკოველთა უპირატესობით დაიწყო. მასპინძლებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ საკუთარ კარში ზედიზედ სამი ბურთი მიიღეს. აი, მაშინ კი გამოიღვიძა ხელი და პირველსავე პერიოდში სამივე ბურთი გაქვითეს.

მეორე პერიოდში თბილისელებმა კიდევ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარის აღება და რაკი საქმის გამოსწორება იოლად შეძლეს, როგორც ჩანს, ისინი ამან დაამშვიდა. ამის შემდეგ ბრძოლა გათანაბრდა. ერთი ბურთით დაწინაურებულ თბილისელებს მაშინვე ეწეოდნენ ხარკოველი წყალბურთელები. თბილისელებს ნერვიულობა დაეტყოთ, რამაც მათ თამაშს დაღი დასვა. ისინი აჩქარდნენ და ამის გამო უამრავი შეცდომა დაუშვეს. ალბათ იმაზე მეტი, რამდენიც წინა ორ შეხვედრაში, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: კანდელაკმა, რამიშვილმა, კუტივაძემ (2-2), გვახარიამ და გიორგაძემ, ხოლო სტუმართაგან— ბეზვერხინმა (4) და სოსნოვსკიმ (3).



თბილისის „დინამოსა“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ შეხვედრის მომენტი.

„„დინამო“ (თბილისი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — 11:8 (4:4, 3:1, 2:1, 2:2).

„დინამო“: გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, კოლუაშვილი, კანდელაკი, რამიშვილი; გიორგაძე, ბალათური, ბითაძე, ნიკოლაიშვილი, მაჭავარიანი, ტუკვაძე.

„ბალტიკა“: ანიკინი, ა. პოპოვი, საფონოვი, კუზნეცოვი, შმელიოვი, ვლადიმიროვი, ვ. პოპოვი. ავკუმოვი, ელისეენკო, მამაევი, ნოვიკოვი, მუსელინი.

„ბალტიკა“ ის გუნდია, რომელიც პირველ და მეორე ლიგას შორის ხშირად მოგზაურობს. ამ გუნდს ახლა სავალალოდ აქვს საქმე: პირველ ლიგაში დაბრუნების საფრთხე ემუქრება, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ლენინგრადელთა გუნდი, იგი თბილისელთა წინააღმდეგ მუდამ დიდი მოხდომებით იბრძვის და ჩვენს წყალბურთელებს ხშირად უსიამოვნო წუთებს განაცდევინებს ხოლმე.

ლენინგრადელებმა ამ მატჩშიც დიდი მოხდომებით შეუტიეს მეტოქეს და ანგარიშიც უმალ გახსნეს. პირველ გოლს მალე მეორე მოჰყვა. მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს და ამის შემდეგ, მეორე პერიოდის მიწურულამდე თანაბარი ბრძოლა იყო. მესამე პერიოდში თბილისელებმა ლენინგრადელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხეს და გაიმარჯვეს.

თბილისელთათვის ეს მეორე წრის მეოთხე მატჩი იყო და ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი კარგად იყენებენ ეგრეთწოდებულ ზედმეტ მოთამაშეს. მაგალითად, ლენინგრადელებთან შეხვედრაში, რიცხობრივი უპირატესობა ექვსჯერ ჰქონდათ და ექვსივე შემთხვევა გამოიყენეს.

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: კუტივაძემ, ბითაძემ (3-3) ბალათურიამ (2), კანდელაკმ, ტუმბულიძემ და ნიკოლაიშვილმა, ხოლო ლენინგრადელთაგან — რომელიოვმა (3), ვლადიმიროვმა, ვ. პოპოვმა (2-2) და ნოვიკოვმა.

გუშინ დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა ვმფ — „უნივერსიტეტი“ 12:12, „ლოკომოტივი“ — კჩფ 9:9.

ავთანდილ ბურასაშვილი.

● ● ●

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე სხვა ექვსი გუნდი, როგორც ცნობილა, მოსკოვში ასპარეზობს. გთავაზობთ უკვე ჩატარებული შეხვედრების შედეგებს.

17 ივნისი. „დინამო“ (კიევი) — „მოსკვიჩი“ 7:7, „დინამო“ (მოსკოვი) — კკფ (ბაქო) 13:4, „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 10:10.

18 ივნისი. კკფ (ბაქო) — „დინამო“ (ლვოვი) 7:6, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 14:9, „დინამო“ (ალმა-ათა) — „მოსკვიჩი“ 10:7.

19 ივნისი. „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიევი) 9:8, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 14:14. „მოსკვიჩი“ — კკფ (ბაქო) 9:7.

ხსრ კავშირის ჩემპიონატი შეხბურთში

19 და 20 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (კიევი) — „ყალგირისი“ (ვილნიუსი) 3:1 (1:0). კიეველთაგან 2 ბურთი გაიტანა მიხაილიჩენკომ (ერთი — პენალტით), ერთიც — ზავაროვმა, სტუმართაგან — ნარბეკოვასმა.

გააფრთხილეს ვილნიუსელი ფეხბურთელები იურკუსი და სუკრისტოვი.

დუბლიორები — 2:0.

„დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ 0:0.

გააფრთხილეს ხიდიატულინი („სპარტაკი“), ბოროვსკი და მეტლიცკი („დინამო“).

დუბლიორები — 2:3.

„ქაირათი“ — „მეტალისტი“ 1:0 (1:0). გოლი მე-4 წუთზე გაიტანა ვოლგინმა.

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელი მალიშენკო.

დუბლიორები — 2:1.

„დნეპრი“ — „არარატი“ 2:0 (2:0). ბურთები გაიტანეს პროტასოვმა და ტარანმა.

დუბლიორები — 2:1.

„ზენიტი“ — „ტორპედო“ 0:3 (0:1). ბურთები გაიტანეს გრეჩნევმა, შირინბეკოვმა და ი. სავიჩევმა.

გააფრთხილეს ზენიტელი აფანასიევი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი), თ. ლაცაბიძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:2.

„შახტიორი“ — „ნეფთჩი“ 1:0 (0:0). ბურთი გაიტანა გრაჩოვმა.

გააფრთხილეს „ნეფთჩის“ ფეხბურთელი ალხასოვი.

დუბლიორები — 0:1.

● **საკავშირო** ჩემპიონატის პირველი ტური იწურება, უმაღლესი ლიგის გუნდების შედეგიანობა კი კვლავინდებურად მეტად დაბალია. განვლილი ტურის მატჩებში, მაგალითად, სულ 14 ბურთი გავიდა.

● **გათამაშების** საუკეთესო ბომბარდირთა ლიდერები არიან: ა. ნარბეკოვასი („ყალგირისი“) და ო. პროტასოვი („დნეპრი“), რომლებმაც 7-7 ბურთი გაიტანეს.

● **ჩემპიონატის** დაწყებიდან უმაღლეს ლიგაში სულ 29 პენალტი დაინიშნა, აქედან 25 — მასპინძელთა სასარგებლოდ, სტუმრებს მხოლოდ ოთხჯერ მიეცათ 11-მეტრიანის დარტყმის უფლება. 11 პენალტი აცდა მიზანს.

● **გამოჩენილი** საბჭოთა ფეხბურთელის გრიგორი ფედოტოვის, სახელობის 100-იანთა კლუბის 43-ე წევრი გახდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თავდამსხმელი ოლეგ პროტასოვი. მე-100 ბურთი მან გაიტანა ერევნის „არარატთან“ შეხვედრაში. სულ ო. პროტასოვმა საკავშირო ჩემპიონატებში 84 ბურთი გაიტანა, 10 — სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, 4 — ევროპული თასების გათამაშებებში და 2 — სსრ კავშირის თასის მატჩებში.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	14	11	0	3	40-16	22
„დნეპრი“	14	8	3	3	24-12	19
„დინამო“ კ.	11	7	2	2	25-12	16
„ქაირათი“	14	6	4	4	22-20	16
„შახტიორი“	13	5	6	2	12-7	16
„ყალგირისი“	13	4	8	1	12-9	16
ცსკა	14	7	1	6	20-23	15
„ნეფთჩი“	13	5	5	3	11-18	15
„დინამო“ მნ.	14	5	4	5	21-16	14
„ზენიტი“	14	4	4	6	19-28	12
„ტორპედო“	14	2	7	5	8-11	11
„გურია“	13	4	2	7	12-19	10
„დინამო“ თბ.	13	3	3	7	17-25	9
„მეტალისტი“	14	3	3	8	11-20	9
„დინამო“ მ.	11	3	2	6	10-12	8
„არარატი“	13	1	2	10	14-29	4

ციტატა

ბაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ 20 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა ცნობილი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ კავაზაშვილის წერილი, რომელიც განვლილი ტურის ფონზე მიმოიხილავს სხვადასხვა საფეხბურთო კლუბების დღევანდელ მდგომარეობას.

გთავაზობთ ციტატას წერილიდან, რომლის სათაურია „როგორ გავნგრიოთ კედელი?“

„...თბილისელებმა ოდნავ გაიუმჯობესეს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში, მაგრამ ხელშესახებ წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ქართულ გუნდებზე, რომლებიც უმაღლეს და პირველ ლიგაში გამოდიან, ამ ხეზონში ბევრი დაიწერა. თბილისის „დინამოს“, „გურიას“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბათუმის „დინამოს“ წარუმატებლობის მიზეზები, ჩემი აზრით, ერთ მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. ეს გუნდები ჩვენი ფეხბურთის სხვადასხვა ლიგაში გამოდიან, მაგრამ მათი ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

შეიძლება საკამათოც იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, რეპუბლიკის ორი გუნდის არსებობა უმაღლეს ლიგაში, ორის კიდევ პირველში, ქსაქსავს ფეხბურთელთა კადრებს, ხელს უშლის კლუბების სწორი კომპლექტაციის პოლიტიკას...

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საკავშირო გათამაშება. II ლიგა, IX ზონა. 21 ივნისი. გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი).** დასაწყისი 19 საათზე.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

და ბოლოს სუპერფინალები

კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლო მატჩს უნივერსიტეტისა და „სინათლეს“ შორის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ გამარჯვებული კოლექტივი მთავარ სუპერფინალურ მატჩებში მონაწილეობის უფლებას იღებდა. ამ გარემოებას, ბუნებრივია, ბრძოლის სიმძაფრე უნდა განეპირობებია. მაგრამ მოხდა პირიქით. ლიდერთა შეხვედრა ერთობ მშვიდად, უნივერსიტეტის კალათბურთელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა.



მატჩის ბედი, ფაქტიურად, პირველსავე ტაიმში გადაწყდა, რომელიც სტუდენტებმა 24 ქულის უპირატესობით (61:37) მოიგეს.. შესვენების შემდეგ „სინათლემ“ მდგომარეობის გამოსწორება სცადა და ერთ მომენტში სხვაობა საგრძნობლად შეამცირა. მაგრამ ეს ამ მატჩში უმნიშვნელო ეპიზოდი გამოდგა. უნივერსიტეტმა იოლი და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 109:79.

გაცილებით უფრო მძაფრი და სანახაობრივად საინტერესო იყო „მართველთა“ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა ორთაბრძოლა. დასაწყისში სტუდენტთა უპირატესობა თითქოს არავის აეჭვებდა. ქულათა სოლიდური მარაგი გუნდს შესვენების შემდეგაც შემორჩა, მაგრამ „მართველს“ შესაშური ბრძოლისუნარიანობა და ხასიათი აღმოაჩნდა. შედეგმაც, ცხადია, არ დააყოვნა. „მართველმ“ ფაქტიურად უიმედო მატჩი გადაარჩინა — 94:88 (44:56).

შედარებით მშვიდად ვითარდებოდა მოვლენები ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სოხუმის კალათბურთელთა შეხვედრაში. თბილისელთა უპირატესობა აქ უფრო გამოკვეთილი იყო და ბრძოლის ბედიც თავიდანვე გადაწყვეტილი ჩანდა. ფიზკულტურის ინსტიტუტმა გაიმარჯვა 118:89 (68:54) და დაგროვილი ქულებით უნივერსიტეტსა და „სინათლეს“ გაუთანაბრდა.

სუპერფინალისტთა წყვილის გამოსავლენად გათამაშების დებულებაში ჩახედვა გახდა საჭირო. და აი, არსებული წესის თანახმად ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლის უფლება უნივერსიტეტსა და „სინათლეს“ მიენიჭათ, ფიზკულტურის ინსტიტუტსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს კი ბრინჯაოს მედლებისთვის მოუწევთ ბრძოლა.

სუპერფინალური მატჩების ჩატარება 22 და 23 ივნისისათვისაა დანიშნული (თუ საჭირო გახდა გუნდები მესამედ ერთმანეთს 24 ივნისს შეხვდებიან). მესამე ადგილისთვის ბრძოლა დაიწყება 18 საათზე, მთავარი ფინალური შეხვედრები კი 19 საათსა და 30 წუთზე.

	თ	მ	ფ.	ბ.	ქ.
უნივ. (თბ.)	**26**	**21**	**5**	**2579-2184**	**47**
„სინ.“ (თბ.)	**26**	**21**	**5**	**2390-2145**	**47**
ფიზკ. ინსტ. (თბილ.)	**26**	**21**	**5**	**2325-2076**	**47**
პოლიტ. ინსტ. (თბილ.)	**26**	**16**	**10**	**2268-2218**	**42**
„მართველ“ (თბილ.)	**26**	**15**	**11**	**2257-2155**	**41**
სოხუმი	**26**	**11**	**15**	**2300-2342**	**37**

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

დარჩა გადამწყვეტი ორთაბრძოლები

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატში გადამწყვეტი ორთაბრძოლების დრო დადგა. XI ტურში ყველას ყურადღება ლიდერების — ლაშა ჯანჯღავასა და ზურაბ სტურუას შეხვედრისკენ იყო მიმართული. გათამაშდა ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი, სადაც თეორებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს. ჯანჯღავა ფიგურებით შეიჭრა ცენტრში, თუმცა კონკრეტული მუქარები არ ჩანდა. მეტოქე შედგრად იცავდა თავს, მაგრამ ცაიტნოტში, სადაც მას 18 სვლაზე მხოლოდ 5 წუთი ჰქონდა დარჩენილი, შეცდომა დაუშვა — ხარისხი დაკარგა. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. სტურუამ კონტრთამაშის მიღების მიზნით პაიკი დათმო, მაგრამ ახალგაზრდა ოსტატმა ლაზიერები გაცვალა და მუქარა მოიგერია. პარტია გადაიდო. ჯანჯღავას ზედმეტი ხარისხი, პაიკი და მოგების შანსი აქვს.

დიმიტრი გედევანიშვილისა და პაატა გაფრინდაშვილის პარტიაში გათამაშდა კარო-კანის დაცვა, შავებმა ჯერ გაათანაბრეს თამაში, შემდეგ კი უპირატესობას დაეუფლნენ, გაფრინდაშვილმა პაიკი მოიგო, მაგრამ ორმხრივ ცაიტნოტში გედევანიშვილი უფრო ზუსტად თამაშობდა, მან ხარისხი შესწირა მეტოქეს და ეფექტური კომბინაციით ლაზიერი მოიგო. გაფრინდაშვილმა საათი გააჩერა.

ნუკრი მანაგაძისა და მიხეილ კრასენკოვის პარტიაში ბრძოლა ძირითადად ლაზიერის ფრთაზე მიმდინარეობდა. მიტელშპილში კი კრასენკოვმა თამაში მეფის ფრთაზე გადაიტანა და ძლიერი იერიშის შედეგად ხარისხი მოიგო პაიკში. ფიგურები გაიცვალა. კრასენკოვმა ენდშპილში ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ტყებუჩავა-ხეცურიანი — 0:1, ტაბატაძე-გიორგაძე — 1:0, ბაღათუროვი-ეფიმოვი — 0,5:0,5, ჩაჩიბაია-შალამბერიძე — 0,5:0,5.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი) — 8 ქულა, ლაშა ჯანჯღავა (თბილისი) — 7,5 (1), ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი) — 7, გია გიორგაძე, თამაზ ტაბატაძე — 6,5:6,5, ზურაბ სტურუა — 6 (1), პაატა გაფრინდაშვილი (ყველა — თბილისი) — 6.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პრიზზე

ფინალში მასპინძლებმა გაიმარჯვეს

სტუმართმოყვარულად შეხვდა ახმეტა შეჯიბრების მონაწილეებს — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პრიზის გათამაშების ფინალში გასულთ. შეჯიბრებამ თავი მოუყარა ზონებში გამარჯვებულ რვა გუნდს და პირად პირველობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს (1975-76 წლებში დაბადებულნი). ფავორიტებად მიიჩნევდნენ ახმეტის, საგარეჯოს და თელავის ძლიერ გუნდებს, რადგან ამ ბოლო დროს სწორედ ამ რაიონების წარმომადგენლები იკავებენ საპრიზო ადგილებს აღნიშნულ ასპარეზობაზე. შეჯიბრების ადგილად შემთხვევით არ აურჩევიათ ახმეტა. აქ უყვართ ქართული ჭიდაობა, ახლადგახსნილი სპეციალიზებული საჭიდაო სკოლის შესანიშნავი დარბაზიც საკადრის მასპინძლობას ჰპირდებოდა ნორჩ სპორტსმენებს. ორი დღის განმავლობაში დარბაზის ტრიბუნები სავსე იყო მაყურებლებით. ახმეტელმა მოჭიდავეებმა არ გააწბილეს გულშემატკივარი — ოთხი პირველი, ორი მეორე, ორი მესამე ადგილი დაიკავეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მეორე ადგილი საგარეჯოს გუნდს დარჩა, მესამეზე ქუთაისელი მოჭიდავეები გავიდნენ.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს: 29 კგ. თამაზ გელეხაურმა (ახმეტა), 32 კგ. ქართლოს თედიაშვილმა (საგარეჯო), 35 კგ. ილია მაისურაძემ (თელავი), 38 კგ. ამირან აბრამიშვილმა (ახმეტა), 41 კგ. კახა ჯაბიშვილმა (ახმეტა), 45 კგ. მამუკა ჩიხლაძემ (ქუთაისი), 49 კგ. ზურაბ ბათურიშვილმა (ახმეტა), 53 კგ. არჩილ ხარებაშვილმა (ყვარელი), 57 კგ. ზვიად ხუროშვილმა (მცხეთა), +57 კგ. ნიკო ნიკოლაძემ (ქუთაისი).

ალექსანდრე ბაკოშვილი,
„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.

სურათზე: გამარჯვებული ახმეტის გუნდი.

საშადრაკო კომპოზიცია — **ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე**

ეული მეფე

ვინც ჭადრაკში ერკვევა, იცის, რომ მოთამაშეთა მთავარი მიზანია მეფის დატყვევება. ეს უკანასკნელი სულაც არ არის გულგრილი თავისი ბედის მიმართ. იგი შექმნილი ვითარების შესაბამისად აქტიურობს ან პასიურობს: ხან გაუნძრევლად დგას მცველებით გარშემორტყმული, ხან კიდევ თავქუდმოგლეჯილი დარბის დაფაზე და საიმედო თაშესაფარს ეძებს ან გულადად უტევს და მუსრს ავლებს მეტოქის პაიკებს და ფიგურებს. გვირგვინოსნის ბრძოლის უნარი კარგად შეისწავლეს საშადრაკო კომპოზიტორებმა და „მარტოხელა მეფის“ თემაზე ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს.

ერთ-ერთ მათგანში, რომელიც ფრანგ პრობლემისტს ეკუთვნის, უქვეშევრდომო შავი მეფის დატყვევება არც ისე ადვილია და ჭარბი ძალების მქონე თეთრებისგან მახვილგონივრულ თამაშს მოითხოვს.

ჟ ქვიკი, 1958 წ.



შამათი 4 სვლაში

თეთრების დიდი, მაგრამ მოუქნელი არმია ეულ მეფეს ასე აშამათებს: 1. ეh7! მფe1 2. კa8! მფf1 3. ლb7 — ეტლმა და კუმ ლაზიერს გზები გაუკვალეს და 4. ლh1× გარდაუვალია, ან 1. ...მფc1 2. კh8! (აქაც გზის გაკვალვა) მფb1 3. ლg7! მფc1, 4. ლa1×. შთამბეჭდავი კომპოზიციაა!

მაგრამ თუ ამ ამოცანაში მარტოდ დარჩენილი მეფე ბრძოლას ფინალში მაინც აგებს, საბჭოთა ავტორის გროტესკული ტიპის ეტიუდში იგი მტრის დიდ ძალას — თექვსმეტივე შავ ფიგურას წარმატებით უმკლავდება.

ბ. სიდოროვი, 1982 წ.



ყაიმი

1. მფf1! b4 2. მფ:f2 (პაიკის აღება მხოლოდ ახლა შეიძლება!) b5 3. მფf1 მb6 4. მფf2 მd5 5. მფf1 მe3+ 6. მფf2 მg4+ და ა. შ. ყაიმი. ახლა გასაგებია, რომ 1. მფ:f2? აგებდა, ვინაიდან 5. მფf2 მe3! და შავი ფიგურები თავისუფლდებიან.

ამოსახსნელად გთავაზობთ ცნობილი გერმანელი პრობლემისტის ამოცანას, რომელშიც უთვისტომო შავი მეფის დაშამათებას სამი, მაგრამ საკმაოდ შენიღბული სვლა სჭირდება.

ბ. ლაბელი, 1908 წ.



შამათი 3 სვლაში

იპოვეთ ეს სვლები და პასუხი გამოგვიგზავნეთ, ძვირფასო მეგობრებო!

ამოხსნა

„ლელოს“ 10 მაისის ნომერში დაბეჭდილი ა. ნემცოვის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნა: 1. ეa1! მფh8 (1. ...მფf7 2. ეa7+) 2. ეg1! ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოგვიგზავნა სწორი პასუხი: ნ. კახიძე (ბათუმი), ო. ბენდელიანი (ზუგდიდი), მარინე, ნანა ჭკადუები (სოხუმი), პ. ნიშნიანიძე (ახალი თერჯოლა, თერჯოლის რ.), ა. კვანტრიშვილი (ალავერდი, ზესტაფონის რ.), მ. რეხვიაშვილი (ურავი, ამბროლაურის რ.), ა. მელქაძე (ქუთაისი), გ. ჭელიძე (ხაშური), გ. ელიოსიძე (ლიბანი), მ. სულუხია (თბილისი).

არც ერთი ინგლისელი მაყურებელი!..

9 სექტემბერს გფრ-ის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ამ ქვეყნისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი, უდავოდ, დიდ ინტერესს იწვევს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა კი კორესპონდენტებს განუცხადა, რომ არც ერთ ინგლისელ გულშემატკივარს არ მიეცემა საშუალება უშუალოდ დაესწროს თამაშს. მიზეზი ყველამ კარგად იცის: ინგლისელი მაყურებლები ტრიბუნაზე, ეს თავისთავად დიდი საერთაშორისო სკანდალია.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა ტედ კროკერმა თქვა:

— ჩვენს დასავლეთგერმანელ კოლეგებს უკვე შევუთანხმდით, რომ ამ მატჩის არც ერთ ბილეთს არ ავიღებთ. ეს იმიტომ, საქვეყნოდ რომ დავსაჯოთ ინგლისელი ფსევდოგულშემატკივრები და სტადიონზე სრული წესრიგის გარანტიაც უზრუნველვყოთ. ვი მაყურებელს ფეხბურთი ახლა ნაკლებად აინტერესებს, ხულიგანთა მთავარი მიზანია დებოში და სკანდალი. ჩვენი აზრით, ამგვარი ღონისძიებებით ადრე თუ გვიან აღვადგენთ ინგლისური ფეხბურთის ადრინდელ მაღალ პრესტიჟს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა ხორსტ შმიდტმა განაცხადა, რომ ამ მატჩზე 3 ათას ბილეთს გამოუყოფენ ინგლისელ ჯარისკაცებს, რომლებიც სავალდებულო სამსახურს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადიან. ვიმედოვნებთ, — თქვა ხ. შმიდტმა, — ეს მატჩი ყველაზე წყნარი და დისციპლინიანი იქნება. თუ ინგლისის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ფინალური გათამაშება კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართება, ინგლისელი გულშემატკივრები ბილეთების მხოლოდ მინიმალურ რაოდენობას შეიძენენ. ამ საკითხზე უკვე მივაღწიეთ კიდეც შეთანხმებას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან. უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია ყველაფერს აკეთებს სტადიონებზე საჭირო წესრიგის დასამყარებლად.

მოახლოვდა უიმბლდონის დღეები

უიმბლდონის ტურნირის წინ ინგლისში ტრადიციულად იმართება ჩოგბურთელთა სხვადასხვა შეჯიბრება, მათი მიზანია მთავარი შეჯიბრებისათვის სპორტსმენთა მზადყოფნის შემოწმება.

ისტბორნში ლვოველმა ლარისა სავჩენკომ მეოთხედფინალური მატჩი წაგო ამერიკელ კრის ევერტთან — 1:6, 3:6. ნახევარფინალში ევერტის გარდა გავიდნენ პამ შრაივერი და მარტინა ნავრატილოვა (ორივე — აშშ), აგრეთვე, ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია).

უიმბლდონის ერთ-ერთ შესარჩევ ტურნირში („გამსვლელი ქუდა“ აქ სამი გამარჯვება იყო) წარმატებით იასპარეზეს 15 წლის კიველმა ნატალია მედვედიევამ და მოსკოველმა ანდრეი ოლხოვსკიმ.

ცნობილი გახდა იმ საბჭოთა ჩოგბურთელ ქალთა გვარები, რომლებიც უიმბლდონის ტურნირში წინასწარი შეხვედრების გარეშე არიან დაშვებული. ლარისა სავჩენკო პირველ წრეში გრეტჰენ რაშ მაგერს (აშშ) შეხვდება, სვეტლანა პარხომენკო — ჯეინ ვუდსს (ინგლისი), ნატალია ბიკოვა — კამილ ბენჟამინს (აშშ), ნატალია ზვერევა კი სხიტერ ლუდლოფს (აშშ).

ჩოგბურთში არ არსებობს უფრო დიდი მნიშვნელოვანი და პრესტიჟული შეჯიბრება, ვიდრე უიმბლდონის ტურნირია. იგი ტრადიციულად იწყება ივნისის ბოლო ორშაბათს და ორ კვირას გრძელდება.

უიმბლდონის პირველი ტურნირი 110 წლის წინ გაიმართა ინგლისში, მას შემდეგ ეს შეჯიბრება სულ უფრო და უფრო დიდ პოპულარობას იძენს, უიმბლდონის ტურნირი ეს თავისებური საჩოგბურთო მექაა, მას დიდი ინტერესით მოელიან საერთაშორისო სპორტული წრეები.

საბჭოთა ჩოგბურთელები უიმბლდონში (ეს ლონდონის გარეუბანია), პირველად გამოჩნდნენ 1958 წელს, ყველაზე დიდ წარმატებას კი მიაღწიეს 70-იანი წლების დასაწყისში, როცა ალექსანდრე მეტერეველი და ოლგა მოროზოვა შერეულ წყვილთა ფინალში გავიდნენ, შემდეგ კი ცალკეულთა კატეგორიაშიც იასპარეზეს, შემდგომში ჩვენი ჩოგბურთელები ნაკლებად გამოდიოდნენ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, კერძოდ, უიმბლდონშიც. ამიტომ მათი ახლანდელი მონაწილეობა ამ დიდ ასპარეზობაში საგანგებო ინტერესს იწვევს.

საბჭოთა ტელევიზია უიმბლდონის ტურნირიდან რეპორტაჟებს მთელი მომავალი კვირის მანძილზე გადმოსცემს. ამ გადაცემათა პირველი კვირის განრიგი ასეთია: 22 ივნისი — 21 ს, 30 წთ, და 23. 45 (მე-2 პროგრამა), 23 ივნისი 21.15 (2); 24 ივნისი — 21.15 (2); 25 ივნისი — 21.15 (2); 26 ივნისი — 21.15 (2); 27 ივნისი — 0.40 (2). დრო თბილისისაა.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 24-ე ტირაჟებისა, რომლებიც 14 ივნისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან გაიყიდა 748 773 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო, 5 ციფრის გამოცნობისთვის (24 ბარათი) მოგება 2 404 მანეთია, ოთხისთვის (1674) — 40. სამისთვის (24 990) — 4.

„სპორტლოტო“ 5 36“-დან: გაიყიდა 6 837 676 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (73 ბარათი) მოგება 5 636 მანეთია, ოთხისთვის (9 711) — 81, სამისთვის (213 309) — 4.

„სპორტპროგნოზი“ — 26-ე ტირაჟი (27-29 ივნისი) — **პროგნოზები**

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „გურია“ (ლანჩხუთი) — „ყალგირისი“ (ვილნიუსი)	27.VI	20	50	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში, ქალთა გუნდები (უმაღლესი ლიგა) ქ. ბროდნო.				
2. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ანდიჟანკა“ (ანდიჟანი)	27.VI	50	20	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
3. „კუზბასი“ (კემეროვო) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	29.VI	30	50	20
4. „პამირი“ (დუშანბე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	29.VI	70	20	10
5. „ფახთაკორი“ (ტაშკენტი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)	29.VI	60	30	10
6. ასკ (დონის როსტოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	29.VI	20	20	60
7. „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი)	29.VI	40	20	40
8. „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	29.VI	30	40	30
9. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დაუგავა“ (რიგა)	29.VI	10	20	70
10. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (სტავროპოლი)	29.VI	70	20	10
11. „დინამო“ (ბათუმი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი)	29.VI	30	30	40
12. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	29.VI	60	20	20
13. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი)	29.VI	20	40	40

ეკრანზე და ეთერში...

ცენტრალური ტელევიზია. **21 ივნისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში— **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** ფიზკულტურა— ყველასათვის — **18.55 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: ცსკა — „დინამო“ (თბილისი) მეორე ტაიმის რეპორტაჟი მოსკოვიდან — **20.00 (2);** ჩოგბურთი: წესები და ტრადიციები — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.10 (1).**

22 ივნისი. დილის დაჭურვა— — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05 (1);** წყალსათხილამურო სპორტი: ი. გაგარინის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება— **15.45 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — **19.30 (2);** ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირი — **21.30 (2)** და **23.45 (2).**

საქართველოს ტელევიზია. **21 ივნისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: ცსკა — „დინამო“ (თბილისი) — **20.00;** სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: „დინამო“ (თბილისი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) — **22.40;** საფეხბურთო მიმოხილვა —**23.10.**

22 ივნისი. საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05;** სპორტული გადაცემა — **23.50.**

საქართველოს რადიო. **21 ივნისი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: ცსკა — „დინამო“ (თბილისი) — **20.00.**

22 ივნისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) — **20.30.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „ჭრთვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06968

ეროვნული ბიბლიოთეკა